ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7301712

ნომერი: AR11066504

თარიღი : 20.11.2024

გაცემის თარიღი : 27.11.2024

გაცნობის თარიღი : 27.11.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ნადირა ხოშარაულის ქუჩა, N 8/ალექსი გოგოლაურის ქუჩა, N 25;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ მაჩაიძე პ/ნ 01023008398
- სან-ზონა მე18ბ კორპუსი ბინა 45

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 18 ოქტომბრის №7256622 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 20 ნოემბერს №AR11066504 განცხადებით მომართა კახაბერ მაჩაიძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 18 ოქტომბრის №7256622 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 18 ოქტომბრის №7256622 ბრძანებით №01.13.05.008.020 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 18 ოქტომბრიდან 2025 წლის 18 ოქტომბრის ჩათვლით.

განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2024 წლის 18 ოქტომბრის №7256622 ბრძანებით შეთანხმებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საოფისე ფართობად 5720.22 კვ.მ-ის ნაცვლად 5825.64 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 390.68 კვ.მ-ის ნაცვლად 393.84 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 9388.37 კვ.მ-ის ნაცვლად 9337.92 კვ.მ-ის, ხოლო სასწავლო აუდიტორიების ფართობად 646.74 კვ.მ-ის ნაცვლად 619.9 კვ.მ-ის დაფიქსირებას.

სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, სამსხურმა დაადგინა, რომ შენობა-ნაგებობის საერთო ფართობი შეადგენს 45122.43 კვ.მ-ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 18 ოქტომბრის №7256622 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 18 ოქტომბრის №7256622 ბრძანებაში და ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში საოფისე ფართობად დაფიქსირდეს 5825.64 კვ.მ., დამხმარე ფართობად 393.84 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად 9337.92 კვ.მ., სასწავლო აუდიტორიის ფართობად 619.9 კვ.მ., ხოლო საერთო ფართობად 45122.43 კვ.მ.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 18 ოქტომბრის №7256622 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 18 ოქტომბრის №7256622 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.